1

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა

კომისიის თავმჯდომარეს, ბატონ რომეო ნიჟარაძეს

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია

„ქართული ოცნება-მწვანეები"-ს (ამიერიდან „ქალების წყალტუბოს მომავლისათვის")
თავმჯდომარისა და წევრების: ლატავრა ბენდელიანის,

მაკა ჭელიძისა და ნადია მელქაძის

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბატონო რომეო,

გაცნობებთ, რომ 2018 წლის 17 იანვარს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაფუძნდა ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები", რომელშიც გაერთიანებულნი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: ლატავრა ბენდელიანი, მაკა ჭელიძე და ნადია მელქაძე.

ფრაქციის წევრების გადაწყვეტილებით მოხდა ფრაქციის სახელისა და წესდების ცვლილება, კერძოდ ნაცვლად „ქართული ოცნება-მწვანეებისა", ფრაქციის სახელწოდება იქნება „ქალები წყალტუბოს მომავლისათვის". ამასთან დაკავშირებით წარმოგიდგენთ ფრაქციის სხდომის ოქმს და წესდებას. გთხოვთ უზრუნველყოთ მითითებული საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

გთხოვთ, განიხილოთ.

პატივისცემით,

ფრაქციის თამჯდომარე ლატავრა ბენდელიანი

ფრაქციის წევრები:

მაკა ჭელიძე

ნადია მელქაძე

25.02.2021 წელი



183

ოქმი N 1

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,, ქართული ოცნება-მწვანეები"–ს
პირველი სხდომა

ქ. წყალტუბო, რუსთაველის 27 25 თებერვალი, 2021 წელი

ფრაქციის სხდომას ესწრებოდნენ ფრაქციის წევრები: ლატავრა ბენდელიანი, მაკა ჭელიძე და ნადია მელქაძე.

სხდომა გახსნა ფრაქციის თავმჯდომარემ, ლატავრა ბენდელიანმა, მან წარმოადგინა სხდომის შემდეგი **დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:**

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მწვანეები" –ს სახელის შეცვლის შესახებ.
2. ფრაქციის წესდებისა და პოლიტიკური პლატფორმის ცვლილების თაობაზე.

დღის წესრიგთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ფრაქციის 2021 წლის პირველი სხდომის დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი რედაქციით.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** დღის წესრიგის პირველი საკითხის - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეების" სახელის შეცვლის შესახებ.

აღნიშნული საკითხი წარმოადგინა ლატავრა ბენდელიანმა. მან აღნიშნა, რომ რიგ მიზეზთა გამო, მას აღარ სურს ფრაქციამ თავისი საქმიანობა განაგრძოს „ქართული ოცნება-მწვანეების" სახელწოდებით და ამიტომ უმჯობესია ფრაქციამ თავისი სახელწოდება შეიცვალოს. ვინაიდან აღნიშნულ ფრაქციაში გაერთიანებულნი არიან ქალბატონები, მან ფრაქციის წევრებს შესთავაზა შემდეგი სახელწოდება „ ქალები წყალტუბოს მომავლისათვის".

**ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:** ფრაქციის წევრები ნადია მელქაძე და მაკა ჭელიძე დაეთანხმნენ აღნიშნულ წინადადებას.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მწვანეების" სახელწოდება შეიცვალოს და დაერქვას „ქალები წყალტუბოს მომავლისათვის".

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** დღის წესრიგი მეორე საკითხი - ფრაქციის წესდებისა და პოლიტიკური პლატფორმის ცვლილება.

აღნიშნული საკითხი წარმოადგინა ფრაქციის თავმჯდომარე ლატავრა ბენდელიანმა. მან აღნიშნა, რომ მითითებული ცვლილება გამომდინარეობს ფრაქციის სახელწოდების ცვლილებიდან.

**ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:** ფრაქციის წევრები დაეთანხმნენ მეორე საკითხს.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**



184

სახელწოდების ცვლილებასთან დაკავშირებით შეიცვალოს ფრაქციის წესდება და პოლიტიკური პლატფორმა.

ამით, ფრაქციის 2021 წლის პირველმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ფრაქციის თავმჯდომარე ლატავრა ბენდელიანი



185

# წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის

## დ ა ს კ ვ ნ ა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიამ, 2021 წლის 26 თებერვლის სხდომაზე განიხილა საკითხი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - მწვანეების"-ს შექმნის, შემადგენლობის, პოლიტიკური პლატფორმისა და წესდების დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N 36 7 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს ბიუროსა და საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

186

პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №_ _

2021 წლის _ _ თებერვალი

ქ. წყალტუბო

**„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეები"–ს შექმნის, შემადგენლობის, პოლიტიკური პლატფორმისა და წესდების დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №36 7 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლისა და საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეების" 2021 წლის 25 თებერვლის N1 ოქმის შესაბამისად:

1. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეები"–ს შექმნის, შემადგენლობის, პოლიტიკური პლატფორმისა და წესდების დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №36 7 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1) ფრაქციის სახელწოდება „ქართული ოცნება-მწვანეები" შეიცვალოს სახელით „ქალები წყალტუბოს მომავლისათვის";
2) განკარგულების მეორე პუნქტით დამტკიცებული პოლიტიკური პლატფორმისა და წესდების ნაცვლად დამტკიცდეს ფრაქცია „ქალები წყალტუბოს მომავლისათვის" წესდება და პოლიტიკური პლატფორმა (თან ერთვის).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:
იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რომეო ნიჟარაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2021 წლის 26 თებერვლის № _ _ განკარგულების
დანართი №1

## წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია

## „ქალები წყალტუბოს მომავლისათვის“

# წესდება

### მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. 1. საკრებულოს ფრაქცია „ქალები წყალტუბოს მომავლისათვის““ (შემდგომში - „ფრაქცია“) არის საერთო პოლიტიკური შეხედულებების მქონე საკრებულოს წევრთა ნებაყოფლობით გაერთიანება, საერთო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.
1. 2. ფრაქცია იქმნება და საქმიანობს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს, „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ და ამ წესდების შესაბამისად.

### მუხლი 2. ფრაქციის მიზნები და ამოცანები

2.1. საკრებულოში ქვეყნის საგარეო და საშინაო საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი პოლიტიკური კურსის გამოხატვა და გატარება.

2.2. ფრაქციის ამოცანებია:

ა) საკრებულოს საქმიანობის სრულყოფაში მონაწილეობის მიღება.

ბ) საკრებულოს წევრთა შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენა და მათი აქტიურობის გაზრდა. ასევე მათ მიერ საკრებულოს რეგლამენტის მოთხოვნათა შესრულებისა და საკრებულოს წევრთა ქცევის სტანდარტების დაცვისათვის ხელშეწყობა;

გ) საკრებულოს კანონშემოქმედებითი საქმიანობის განხორციელებაში ფრაქციის შეჯერებული აზრის გამოხატვა;

დ) ფრაქციის პოლიტიკური პლათფორმის განხორციელება.

### მუხლი 3. საკრებულოს ფრაქციის რეგისტრაცია და შემადგენლობა

312. ფრაქცია გადის რეგისტრაციას. რეგისტრაციის საფუძველია არანაკლებ საკრებულოს სამი წევრის სურვილი ფრაქციის შექმნის შესახებ და იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნა. საკრებულოს წევრთა გაერთიანება ფრაქციის სტატუსს იძენს მათი რეგისტრაციის მომენტიდან.

3.2. თუ საკრებულოს ფრაქციაში აღმოჩნდა საკრებულოს სამ წევრზე ნაკლები, ფრაქცია ითვლება გაუქმებულად, რასაც საკრებულოს თავმჯდომარე უახლოეს სხდომაზე აცნობებს საკრებულოს.

3.3. საკრებულოს წევრი შეიძლება გაერთიანდეს მხოლოდ ერთ ფრაქციაში.

3.4. საკრებულოს წევრს უფლება აქვს გაერთიანდეს ფრაქციაში ან მოტივაციის გარეშე გავიდეს ფრაქციიდან.

3.5. ფრაქციაში გაერთიანების საფუძველია საკრებულოს წევრის სურვილი, გამოხატული წერილობითი (განცხადების) სახით. იგივე პროცედურა გამოიყენება ფრაქციიდან საკრებულოს წევრის გასვლისას.
3.6. ფრაქციას უფლება აქვს წესდებით დადგენილი წესით მიიღოს ახალი წევრი ფრაქციაში ან ფრაქციიდან გარიცხოს წევრი.
3.7. ფრაქციიდან საკრებულოს წევრის გარიცხვის საფუძველი შეიძლება გახდეს საქართველოს კანონმდებლობის, საკრებულოს რეგლამენტის, ფრაქციის წესდების დარღვევის, ფრაქციის წევრის უფლებების და მოვალეობების შეუსრულებლობა.
3.8. ფრაქციიდან წევრის გასვლის სურვილს ფრაქციის სხდომა იღებს ცნობად. ფრაქციიდან წევრის გარიცხვა ხდება კენჭისყრით. ფრაქციის წევრი ფრაქციიდან გარიცხულად ჩაითვლება თუ ამ წინადადებას მხარი დაუჭირა ფრაქციის წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.
3.9. ფრაქციის წევრი ვალდებულია:
ა) დაიცვას ფრაქციის პოლიტიკური პლატფორმა და წესდება;
ბ) დაიცვას ფრაქციის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებები და ფრაქციის თავმჯდომარის მითითებები;
გ) არ განახორციელოს ფრაქციის პოლიტიკური კურსის საწინააღმდეგებო ქმედება.

**მუხლი 4. ფრაქციის ძირითადი უფლებამოსილებები**
4.1. ფრაქცია უფლებამოსილია:
ა) გამოხატოს და გაატაროს საკუთარი კურსი საკრებულოს უფლებამოსილებას საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებით.
ბ) მიიღოს გადაწყვეტილება საკრებულოს სხდომაზე განსახილველ საკითხის შესახებ ფრაქციის ერთიანი პოზიციის გამოხატვისა და სხდომაზე მომხსენებლის დანიშვნის თაობაზე.
გ) მიიღოს გადაწყვეტილება ფრაქციების კოალიციასთან ან სხვა ფრაქციასთან გაერთიანების, ფრაქციის გაუქმების, ფრაქციის წესდებისა და დეკლარაციაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ.
დ) მიიღოს და ცვლილებები შეიტანოს ფრაქციის წესდებაში, ფრაქციის წესდებით დადგენილი წესით აირჩიოს და გადაირჩიოს ფრაქციის თანამდებობის პირები.
ე) მიიღოს გადაწყვეტილება ფრაქციის საქმიანობის საკითხებზე.
ვ) წარადგინოს კანდიდატები საკრებულოს თანამდებობის პირთა არჩევით თანამდებობაზე.
ზ) გადაწყვიტოს ფრაქციის პროპორციული წარმომადგენლობითი კვოტების გამოყენების საკითხები.
თ) მოამზადოს და საკრებულოს განსახილველად წარუდგინოს ნორმატიული აქტის პროექტები.
ი) საკრებულოს ყველა კომისიასა და დროებით სამუშაო ჯგუფში შეიყვანოს ფრაქციის ერთი წევრი მაინც.
კ) მოითხოვოს ცალკეულ საკითხებზე დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნა.
ლ) შეკითხვით მიმართოს საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულ თანამდებობის პირებს.
მ) საკრებულოს კომისიაში და საკრებულოს სხდომაზე გამოთქვას თავისი მოსაზრება საკრებულოს მიერ ასარჩევ, დასანიშნ, დასამტკიცებელ ან იმ კანდიდატურის თაობაზე, რომლის დანიშვნაზეც თანხმობას იძლევა საკრებულო.

ნ) წელიწადში ორჯერ, საკრებულოს ბიუროს მიერ დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად, საკრებულოს სხდომაზე გააკეთოს ფრაქციის თითოსაათიანი მოხსენება.
ო) გამოაქვეყნოს თავისი თვალსაზრისი და მიმართვა საკრებულოს საინფორმაციო საშუალებებში.
პ) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობითა და საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.
ჟ) ფრაქციის გადაწყვეტილებით, ფრაქციის მიერ წარდგენილი წევრი, გარდა საკრებულოს კომისიის ან დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარისა, საკრებულოს ორგანოებში წყვეტს საქმიანობას მისი ფრაქციიდან გარიცხვის, გასვლის ან ფრაქციის მიერ ამ ორგანოებიდან მისი გამოწვევის შემთხვევაში. ფრაქციას ნებისმიერ დროს შეუძლია შეცვალოს მის მიერ წარდგენილი წევრი ფრაქციის სხვა წევრით, რის შესახებაც წერილობით აცნობებს შესაბამის კომისიის (დროებითი სამუშაო ჯგუფის) თავმჯდომარეს.
რ) ფრაქციის წარმომადგენელთა რაოდენობა საკრებულოს კომისიებში და დროებით სამუშაო ჯგუფებში (გარდა ინტერფრაქციული ჯგუფებისა) განისაზღვრება ფრაქციაში გაერთიანებულ წევრთა რაოდენობის პროპორციულად. ფრაქციების პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს ადგენს საკრებულოს ბიურო. ფრაქციას უფლება აქვს საკრებულოს ბიუროს ამ გადაწყვეტილების მართლზომიერების საკითხი დასვას საკრებულოს სხდომაზე. საკრებულოს სხდომა ამ საკითხს იხილავს რიგგარეშე და იღებს გადაწყვეტილებას სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ სიითი შემადგენლობის 1/3-ით.
ს) ფრაქციის პროპორციული წარმომადგენლობის შეცვლის შემთხვევაში, საკრებულოს კომისიებსა და დროებით სამუშაო ჯგუფებში ფრაქციის წარმომადგენლობის პერსონალურ საკითხს წყვეტს შესაბამისი ფრაქცია.
ტ) ფრაქციის წარმომადგენელს საკრებულოს სხდომაზე გააჩნია სიტყვით გამოსვლის უპირატესი რიგითობა ფრაქციის გარეშე წევრთან შედარებით.

## მუხლი 5 . ფრაქციის ხელმძღვანელი და თანამდებობის პირები

5.1. ფრაქციის უმაღლესი ორგანოა ფრაქციის სხდომა.
5.2. ფრაქციის თანამდებობის პირები არიან ფრაქციის თავმჯდომარე , ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე და მდივანი.

## მუხლი 6. ფრაქციის სხდომა

6.1. ფრაქციის სხდომა , როგორც წესი ღიაა.
6.2 ფრაქციის სხდომა შეიძლება დაიხუროს ფრაქციის სრული შემადგენლობის უმრავლესობის გადაწყვეტილებით :
ა) ფრაქციის თავმჯდომარის ან ფრაქციაში გაერთიანებული არანაკლებ სამი წევრის მოთხოვნის საფუძველზე;
ბ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.
6.3 ფრაქციის სხდომები იმართება ყოველი თვის პირველ სამშაბათს ან საჭიროებისამებრ.
6.4. ფრაქციის სხდომის მოწვერვის უფლება აქვს ფრაქციის თავმჯდომარეს საკუთარი ინიციატივით ან ფრაქციის არანაკლებ 3 წევრს წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

6.5. ფრაქციის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ფრაქციის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა.
6.6. ფრაქციის სხდომის დღის წესრიგს ადგენს და ფრაქციის სხდომას დასამტკიცებლად წარუდგენს ფრაქციის თავმჯდომარე.
6.7. ფრაქციის სხდომის მონაწილეები დღის წესრიგს ამტკიცებს ფრაქციის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ სხდომის უფლებამოსილებისათვის დადგენილი ზღვრის ნახევარისა.
6.8. დღის წესრიგში ცვლილებების შეტანის ინიციატივის უფლება აქვს ფრაქციის წევრს. გადაწყვეტილება მიიღება ამ მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად.
6.9. თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ფრაქციის სხდომაზე გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე წევრთა უმრავლესობით.
6.10. ფრაქციის სხდომა უფლებამოსილია:

ა) შეიტანოს ცვლილებები ფრაქციის წესდებაში;
ბ) საკრებულოს სხდომაზე განსახილველი საკითხების შესახებ, მიიღოს გადაწყვეტილება ერთიანი პოზიციის გამოხატვის თაობაზე;
გ) აირჩიოს ფრაქციის თანამდებობის პირები;
დ) გადაწყვიტოს ფრაქციის საქმიანობასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები;
ე) რეგლამენტით დაგენილი წესით წარადგინოს კანდიდატები საკრებულოს არჩევით თანამდებობებზე;
ვ) გადაწყვიტოს ფრაქციის წარმომადგენლობის კვოტების გამოყენების წესი;
ზ) შეიმუშაოს ბიუჯეტიდან ფრაქციისათვის გამოყოფილი თანხის განკარგვის წესი;
თ) განიხილოს და გადაწყვიტოს ფრაქციაში საკრებულოს წევრის გაწევრიანებისა და ფრაქციის წევრის გარიცხვის საკითხი;
ი) განახორციელოს საკრებულოს რეგლამენტითა და ასევე ამ წესით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილება.

## მუხლი 7. ფრაქციის თავმჯდომარე

7.1. ფრაქცია თავის შემადგენლობიდან ფრაქციის სხომაზე, ფრაქციის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით, ღია კენჭისყრით ირჩევს ფრაქციის თავმჯდომარეს.
7.2. ფრაქციის თვმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს ფრაქციის ნებისმიერ წევრს.
7.3 ფრაქციის თავმჯდომარე:
ა) ფრაქციის თავმჯდომარე იწვევს, ხსნის და ხელმძღვანელობს ფრაქციის სხდომას. ასრულებს ფრაქციის წარმომადგენლის ფუნქციას საკრებულოში, თვითმმართველობის ორგანოებსა და სახელმწიფო დაწესებულებებში. საერთო ორგანიზაციას უწევს ფრაქციის საქმიანობას;
ბ) წარუდგენს საკრებულოს თავმჯდომარესა და აპარატის უფროსს ფრაქციაში დასანიშნ კანდიდატებს;
გ) ანაწილებს უფლებამოსილებებს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს შორის;
დ) ახორციელებს საკრებულოს რეგლამენტითა და ფრაქციის წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.
7.4. ფრაქციის თავმჯდომარეს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გადადგეს დაკავებული თანამდებობიდან.

7.5. ფრაქცია უფლებამოსილია გადააყენოს ფრაქციის თავმჯდომარე დაკავებული თანამდებობიდან, თუ ამას წერილობით მოითხოვს ფრაქციის წევრთა არანაკლებ ერთი მესამედი. ფრაქციის თავმჯდომარე ვალდებულია აღნიშნული საკითხი შეიტანოს უახლოეს ფრაქციის სხდომის დღის წესრიგში. ფრაქციის თავმჯდომარე გადარჩეულად ჩაითვლება , თუ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს ფრაქციის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა.
7.6. ფრაქციის მიერ მიღებულ დოკუმენტებს ხელს აწერს ფრაქციის თავმჯდომარე.

## მუხლი 8. ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე

8.1. ფრაქცია თავისი შემადგენლობიდან, ფრაქციის წევრთა უმრავლესობით, კენჭისყრით ირჩევს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეს, რომელიც ასრულებს თავმჯდომარის მოვალეობას თავმჯდომარის მიერ მოვალეობის შეუსრულებლობისას. ასრულებს ფრაქციის თავმჯდომარის სხვა დავალებებს.
8.2. ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს ფრაქციის თავმჯდომარეს ან ფრაქციის წევრთა სამ კაციან ჯგუფს.
8.3. ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე:
ა) ფრაქციის თავმჯდომარის დავალებით ხელმძღვანელობს ფრაქციის საქმიანობის ცალკეულ მიმართულებებს;
ბ) ასრულებს თავმჯდომარის მოვალეობას მისი არყოფნის შემთხვევაში;
8.4. ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე შეიძლება გადაყენებულ იქნეს დაკავებული თანამდებობიდან, თუ ამას მოითხოვს ფრაქციის თავმჯდომარე ან ფრაქციის წევრთა არანაკლებ ერთი მესამედი (წერილობითი ფორმით). ფრაქციის თავმჯდომარე ვალდებულია აღნიშნული საკითხი შეიტანოს უახლოეს ფრაქციის სხდომის დღის წესრიგში. ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე გადარჩეულად ჩაითვლება, თუ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს ფრაქციის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

## მუხლი 9. ფრაქციის საქმიანობის უზრუნველყოფა

10.1. საკრებულოს ფრაქციის საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტით გათვალისწინებული საკრებულოს ხარჯებიდან ფრაქციას გამოეყოფა შესაბამისი თანხა, საკრებულოს სხდომათა დარბაზში შესაბამისი ადგილი, ხოლო საკრებულოს შენობაში შესაბამისი ფართი.
10.2. ფრაქციის თანხის, სხდომათა დარბაზში ადგილისა და სამუშაო ფართის გამოყოფა ხდება ფრაქციაში გაერთიანებულ წევრთა პროპორციულად.
10.3. ფრაქციების ერთობლივი საქმიანობის კოორდინაციის მიზნით შეუძლია შექმნას ფრაქციების კოალიცია. ფრაქციათა კოალიციას შეიძლება გააჩნდეს წესდება და ერთობლივი საკოორდინაციო ორგანო. ფრაქციას ნებისმიერ დროს აქვს უფლება გაერთიანდეს ან გავიდეს კოალიციიდან. ფრაქციის ყოფნა-არყოფნა კოალიციაში გავლენას არ ახდენს მის წარმომადგენლობით კვოტებზე.

## მუხლი 10. ფრაქციის წესდების გადასინჯვა

11.1. ფრაქციის წესდების გადასინჯვის ინიცირების უფლება აქვს ფრაქციის თავმჯდომარეს, ფრაქციის არანაკლებ 1/3-ს.

11.2. ფრაქციის თავმჯდომარე ვალდებულია წესდების გადასინჯვის პროექტი გააცნოს ფრაქციის ყველა წევრს და საკითხის ინიცირებიდან ერთი თვის ვადაში იგი შეიტანოს ფრაქციის სხდომის დღის წესრიგში.
11.3. ფრაქციის წესდების გადასინჯვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფრაქციის სხდომა, თუ მხარს დაუჭერს ფრაქციის სრული შემადგენლობის ორი მესამედი.

მუხლი 12 . ფრაქციის გაუქმება
თუ საკრებულოს ფრაქციაში აღმოჩნდა საკრებულოს სამ წევრზე ნაკლები, ფრაქცია ითვლება გაუქმებულად, რასაც საკრებულოს თავმჯდომარე უახლოეს სხდომაზე აცნობებს საკრებულოს.

# წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქალები წყალტუბოს მომავლისათვის“

## პოლიტიკური პლატფორმა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ფრაქცია „ქალები წყალტუბოს მომავლისათვის“ (შემდგომში -„ფრაქცია“) არის საერთო პოლიტიკური შეხედულებების მქონე საკრებულოს წევრთა ნებაყოფლობითი გაერთიანება, საერთო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.

ფრაქცია იქმნება და საქმიანობს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს, „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ და მისი წესდების შესაბამისად.

**ვადასტურებთ, რომ**

ჩვენ ერთგული ვართ ჩვენი ძირითადი პრინციპებისა - ხელი შეუწყოთ ერთიანი, ჭეშმარიტად დემოკრატიული და სამართლიანი, ეკოლოგიურად, სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი, განათლებული საზოგადოების სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, რომელშიც ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობა უმთავრესია.

**გამოვდივართ რა**

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მოთხოვნებიდან:

1. ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით.
2. ამ კუთხით ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობა ფუნდამეტურ უფლებას წარმოადგენს. ეს უფლება უნდა განხორციელდეს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ყველა სფეროში, მათ შორისაა აღმოფხვრან ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია, პირდაპირი თუ არაპირდაპირი.

**პოლიტიკური და სოციალური მიმართულება:**

- დემოკრატიული მართვის სისტემის დანერგვა სახელმწიფო მმართველობაში;
- სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვა;
- კანონის წინაშე ყველას თანასწორობა;
- საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია, განსაკუთრებით ევროკავშირში გაწევრიანების მაქსიმალური ხელშეწყობა, ყველა არსებული რესურსით;
- სამართლიანი მართლმსაჯულების ჩამოყალიბება;
- ტერიტორიულ ერთეულებში რეალური თვითმმართველობის დამკვიდრება;
- ადამიანის ძირითადი უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა;
- სიღარიბის დაძლევა და მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობა;
- საკუთრების უფლების დაცვა, თავისუფალი მეწარმეობის და კონკურენციის განვითარება;
- განათლების სისტემის რეფორმირება და ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის გაზრდა:
- ქვეყნის ისტორიული ფასეულობების და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა;

## ქალებისა და მამაკაცების თანაწორობის კუთხით

ფრაქცია „ ქალები წყალტუბოს მომავლისათვის“ აღიარებს:

1. ქალებისა და მამაკაცების თანაბარ უფლებას მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკის ფორმულირებასა და განხორციელებაში, საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავებაში და მმართველობის ყველა დონეზე ყველა საჯარო ფუნქციის შესრულებაში.

2. მოქალაქეების უფლება მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ აქტივობაში ფუნდამენტური დემოკრატიული პრინციპია. იგი აგრეთვე აღიარებს, რომ ქალებსა და მამაკაცებს აქვთ უფლება, ერთნაირად მიიღონ მონაწილეობა საკუთარი რეგიონის, მუნიციპალიტეტის მართვაში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

3. ქალებისა და მამაკაცების უფლებას, რომ უზრუნველყოფილ იქნას მათი საქმეების თანასწორად, მიუკერძოებლად, სამართლიანად და დროულად განხილვა/გადაჭრა.

ამ და სხვა მიმართულებით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქალები წყალტუბოს მომავლისათვის“ იღებს ვალდებულებას განახორციელოს შემდეგი საქმიანობა:

1. წაახალისოს პოლიტიკური პარტიები და ჯგუფები დაამტკიცონ და განახორციელონ ქალებისა და მამაკაცების დაბალანსებული წარმომადგენლობის პრინციპი.
2. ხელი შეუწყოს პოლიტიკურ პარტიებს და ჯგუფებს, გაატარონ კანონიერი ქმედედებები, მათ შორის სადაც საჭიროა კვოტების დაწესება, რათა გაიზარდოს კანდიდატებად შერჩეული და საბოლოოდ არჩეული ქალების რაოდენობა;
3. აქტიური პოპულარიზაცია გაუწიოს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალებისა და მამაკაცების თანაბარ მონაწილეობას საზოგადოების ყველა ნაწილიდან, განსაკუთრებით ქალები და მამაკაცები უმცირესობებიდან, რომლებიც შეიძლება სხვა შემთხვევაში უგულვებელყოფილნი იყვნენ;
4. შეიმუშავებს და საკრებულოში წარმოადგენს შესაბამის წინანადებებსა და სამართლებრივ პროექტებს;
5. საკრებულოს საქმიანობის ფარგლებში ითანამშრომლებს ყველა პარტიორთან, იქნება ეს საჯარო ან კერძო სექტორი თუ სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რათა ხელი შეუწყოს ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობას ცხოვრების ყველა ასპექტში. აქტიურად ითანამშრომლებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოსთან. ასევე ყველა იმ პოლიტიკურ ძალასთან, რომელიც გაიზიარებს ფრაქციის სამოქმედო სტრატეგიებსა და პრიორიტეტებს.